



საქართველოს ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკა 2016-2020 და 2021-2030 წლების მიგრაციის
სტრატეგიათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე

სოფიო კალანდარიშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: sofokalandarishvili@gmail.com

აბსტრაქტი

მიგრაციული პროცესები ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს. საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ქვეყნის შიგნით ვერ პოულობს შესაბამისი ანაზღაურების სამსახურს, ოჯახის სარჩენად უცხოეთში მიდის. ხშირ შემთვევაში ქართული ოჯახების შემოსავლის ერთადერთი წყარო სწორედ ემიგრანტთა გზავნილებია. უცხოეთში არალეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოება კი დაცული არ არის. ამიტომ, ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს მიგრაციული პროცესების მართვა. არარეგულირებად მიგრაციასთან ბრძოლის გზას ლეგალური მიგრაცია წარმოადგენს. ლეგალური მიგრაციის ერთ-ერთი ფორმა გახლავთ ცირკულარული მიგრაცია. ის განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ ამ გზით შრომითი რესურსი, ოფიციალური ხელშეკრულების საფუძველზე, ლეგალურად საქმდება შრომის საერთაშორისო ბაზარზე გარკვეული დროით; მისი უფლებების დამცველად, კონკრეტული სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები მოიაზრება. შედეგად, მცირდება, როგორც დამსაქმებლის მხრიდან მიგრანტის უფლებების დარღვევის, ასევე მიგრანტის მიერ სავიზო რეჟიმის დარღვევის ალბათობა. აღნიშნულის წარმატებით განსახორციელებლად ქვეყანას პირველ რიგში სჭირდება საკანონმდებლო ჩარჩო. ცირკულარული მიგრაცია ჩვენს ქვეყანაში მიგრაციის სტრატეგიის მიხედვით რეგულირდება. საქართველოს პირველი მიგრაციის სტრატეგია მოიცავდა 2013-15 წლებს. 2015 და 2017 წლებში ასოცირების შეთანხმებისა და ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გაფორმებამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა ქვეყანა, რასაც მოჰყვა ახალი დოკუმენტების შექმნა. სტატიის კვლევის მიზანს წარმოადგენს 2016-20 და 2021-30 წლების მიგრაციის სტრატეგიათა კრიტიკული შეფასება და შედარებითი ანალიზი. ამ გზით წარმოვაჩინო ჩვენი საკანონმდებლო ჩარჩოს დადებით/უარყოფით მხარეებს და დავინახავთ ამჟამად ქვეყანაში წარმოებული ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკის მთავარ გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია; ცირკულარული მიგრაცია; მიგრაციის პოლიტიკა; მიგრაციის სტრატეგია

შესავალი

დემოგრაფიულ პროცესებს შორის მიგრაციას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სხვა დემოგრაფიული მოვლენებისგან განსხვავებით, მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებელი ქვეყანაში მაშინვე რეაგირებს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე. თავის მხრივ, მიგრაციული პროცესები პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე, მოსახლეობის სტრუქტურასა და საზოგადოების დემოგრაფიულ ქცევაზე. მიგრაცია ადამიანის არსებობის დღიდან მისი ნაწილია და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაცობრიობის მდგომარეობის განსაზღვრაში. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მიგრაციას -

ტერმინს მრავალნაირი განმარტება აქვს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული განმარტების თანახმად, მიგრაცია არის საერთაშორისო საზღვარზე ან ქვეყნის შიგნით გადაადგილების პროცესი(International Organization of Migration, 2019). ევერეტ ს. ლი, მიგრაციის თეორიის ავტორი, მას განსაზღვრავს, როგორც ბინადრობის მუდმივ ან ნახევრად მუდმივ შეცვლას (Lee, 1966).

მიგრაციული პროცესები გაცილებით უფრო ადრე, უხსოვარ დროში დაიწყო სანამ ამ პროცესის აღმნიშვნელი ტერმინი ჩამოყალიბდებოდა. მის მიმართ, მეოცე საუკუნემდე სათანადო ინტერესი სხვადასხვა დისციპლინისა და პროფესიის მხრიდან არ იყო. 2009 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში კესელსი და მილერი აღნიშნავენ, რომ ამის მიზეზი საძიებელია არა უშუალოდ მიგრაციის ფენომენში, არამედ მის „გლობალურ მოცულობაში, შიდა და საერთაშორისო პოლიტიკაში მთავარ მნიშვნელობასა და უზარმაზარ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებში“ (Castles & Miller, 2009, გვ. 6). აღსანიშნავია ისიც, რომ დარგის სპეციალისტების მხრიდან შემოთავაზებულია მიგრაციის მრავალგვარი კლასიფიკაცია. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ფრანკ დიუველი ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გვთავაზობს მიგრაციის მეტ-ნაკლებად უნიფიცირებულ კლასიფიკაციას, რომელშიც მიგრაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მიგრანტთა სამართლებრივი სტატუსი მიმღები ქვეყნის კანონმდებლობასთან მიმართებით(ლევალური, არალევალური და ა.შ.) (ვაგნერი, 2017). არარეგულირებადი(არალევალური) მიგრაცია არ შემოიფარგლება ხოლმე მხოლოდ ქვეყნის საზღვრის უნებართვო გადაკვეთით. ხშირ შემთხვევაში, მიგრანტი სახელმწიფოში შედის ლევალურად – მაგალითად, ტურისტული ვიზით და რჩება სამუშაოდ. ტურისტული ვიზის ვადის გასვლისას ასეთ პირებს ქვეყანაში დარჩენისა და მუშაობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნიათ და არალევალურ მიგრანტთა კატეგორიაში განიხილებიან.

საქართველოს 1994 წლიდან 2019 წლის ჩათვლით უარყოფითი მიგრაციული სალდო ახასიათებს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021). 2021 წელსაც, ცხრილი 1-დან ჩანს, რომ ჩვენი ქვეყანა 15-64 წლების ასაკობრივი კატეგორიის 88561-მა ადამიანმა დატოვა, რომელთა სრული უმრავლესობა, დიდი ალბათობით, შრომითი მიგრანტია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის(საქსტატის) მონაცემებით, ჩვენი ქვეყნის მიგრაციული სალდო 2021 წელს -26.0 გახლდათ.

ცხრილი 1: (იმიგრანტებისა და ემიგრანტების განაწილება ასაკის მიხედვით(2021წ.)

ასაკი(წელი)	იმიგრანტი	ემიგრანტი
0-14	7756	8493
15-64	61068	88561
65+	5184	2920

წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021)

ემიგრანტთაგან ზოგიერთი მათგანი დროთა განმავლობაში ახერხებს კანონიერი სტატუსის მიღებას, მაგალითად, თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ლეგალური მიგრანტის, ქვეყანაში დროებით ყოფნისა და მუშაობის უფლებით. ხოლო, ვინც თავისი სტატუსის ლეგალიზაციას ვერ ახერხებს, ნებისმიერ დროს შეიძლება გამოაძევეონ, როგორც ამ ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი პირი. ზოგადად, მსოფლიოში არალეგალური მიგრაციის ზრდას განაპირობებს ის გარემოება, რომ განვითარებული ქვეყნები ზღუდავენ ლეგალური იმიგრაციის შესაძლებლობებს, მაშინ, როდესაც იზრდება იქ ჩასვლის მსურველთა რიცხვი. შესაბამისად, ვხედავთ, რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემა ჩვენი სახელმწიფოსათვის. ამასთან, ერთის მხრივ, საქართველოდან მიგრაცია დიდწილად არარეგულირებადია, ხოლო მეორეს მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა პრობლემამ მიგრანტმა მიიღო ლეგალური მიგრანტის სტატუსიც და შესაძლებლობაც სამშობლოში ვიზიტისა, მაინც, საიმიგრაციო ქვეყანაში პრობლემის უკეთესმა ანაზღაურებამ და დეპორტაციის საფრთხის გაქრობამ კიდევ უფრო გაახანგრძლივა მიგრაციაში მათი დარჩენა. არარეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის საუკეთესო გზა ლეგალური მიგრაციაა. ლეგალური მიგრაციის ერთ-ერთი ფორმა კი გახლავთ ცირკულარული მიგრაცია. ესეგი, ისიც ნათლად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ცირკულარული მიგრაციის ფენომენის შემოტანა საქართველოში (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019).

ისევე როგორც ზოგადად მიგრაციის, ცირკულარული მიგრაციის შემთხვევაშიც, ბევრნაირი განმარტება არსებობს. ის მოიაზრება, როგორც „ქვეყნებს შორის ადამიანების მიმოსვლა, განმეორებითი, დროებითი და ხანგრძლივი მიმოსვლის ჩათვლით, რაც ნებაყოფლობით წარმართვის შემთხვევაში, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს ყველა ჩართული მხარისთვის და დაკავშირებულია მიგრანტების უფლებებთან, კომპეტენციებთან, მათ განვითარებასთან, წარმოშობის და დანიშნულების ქვეყნების ეკონომიკურ შესაძლებლობებთან“ (გოსი, 2016, გვ. 6). მოცემულ ნაშრომში ამ პოზიციიდან იქნება განხილული აღნიშნული მოვლენა.

მიგრაციის მართვა, როგორც ცნება, არ წარმოადგენს სიახლეს – მართვა თავისთავად გულისხმობს რაიმეს მოქცევას ორგანიზებულ ჩარჩოში, შესაბამისად, ბუნებრივად დგება საკითხი, ვინ და როგორ მართავს ამ პროცესს. საჯარო მართვის როლი მიგრაციის პროცესში გამორჩეულია, რადგან სწორედ სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებაა მოქალაქეებისა და სხვა პირთა მის ტერიტორიაზე დაშვების განსაზღვრა. შესაბამისად, როდესაც საჯარო მართვასა და მიგრაციაზე ვსაუბრობთ, სადავო არ არის, რომ ჯერ ეს უკანასკნელი ფენომენი წარმოიქმნა და შემდეგ, საზღვრების გაჩენასა და ამ საზღვრებში მოქცეულ ადამიანთა უფლებებთან ერთად, მისი მართვის საჭიროებაც. სწორედ ამ დროს იღებს სათავეს მიგრაციისა და საჯარო მართვის ურთიერთკავშირი. საჯარო მართვის ფარგლები საკმაოდ დიდხანს ინვევდა მეცნიერებში კამათს ის თუ, სად იწყებოდა საჯარო მართვა და სახელმწიფოს მართვის რომელ ელემენტებს აერთიანებდა – მხოლოდ ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს მოიცავდა თუ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებსაც. ვუდრო უილსონმა ამ საკითხზე წარმოადგინა ერთ-ერთი ძველი, მაგრამ დღემდე აქტუალური ნაშრომი „ადმინისტრირების კვლევა“ და განმარტა, რომ საჯარო მართვა ნიშნავს „...საჯარო სამართლის დეტალურ და სისტემურ

აღსრულებას. ყველა კონკრეტული კანონის გამოყენება ადმინისტრირების აქტია.“ და მიუთითა იმ სფეროებზე, რომლებიც სცდებოდა საჯარო მართვის განმარტებას: „...ზოგადი კანონები, რომლებიც მიმართულებას აძლევენ გასაკეთებელ საქმეებს, ცხადად დგანან ადმინისტრირების გარეთ და ზემოთ“ (Wilson, 1887, p. 212). როდესაც პოლიტიკას ვახსენებთ მნიშვნელოვანია გამოვყოთ მის შემუშავებასა და გატარებაზე პასუხისმგებელი უწყებები. ზოგადად, მიგრაციის პოლიტიკის შემუშავება და მართვა სამ ეტაპს მოიცავს, რომელთაგან პირველია სახელმწიფოს განვითარების პოლიტიკისა და მიგრაციის პოლიტიკის განსაზღვრა მთავრობის მიერ; შემდგომ პოლიტიკის აღსრულება დარგობრივი უწყების მიერ, ადგილობრივ, ცენტრალურ და საერთაშორისო დონეზე; და მესამე შედეგების უწყვეტი ანალიზი და პოლიტიკის ცვლილება საჭროებისამებრ (ვაგნერი, 2017).

მიგრაციის პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში 1990-იანი წლების ბოლოდან ჩნდება (ამის მაგალითია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №673 (საქართველოს პრეზიდენტი, 1997)). იმისათვის, რათა ჩამოყალიბებულიყო მართვის სისტემა, ჯერ 2010 წელს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია შეიქმნა, ხოლო შემდეგ 2013-15 წლების მიგრაციის სტრატეგია შემუშავდა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2012). ქრონოლოგიურად, რომ გავყვეთ, 2015 წელს ახალი რეალობის წინაშე დავდევით, რომელიც შექმნა ასოცირების შეთანხმებამ და აქედან გამომდინარე შეიქმნა 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. ხოლო 2017 წლის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა იყო კიდევ ერთი დიდი ცვლილების გამომწვევი ფაქტორი მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვასა თუ შემუშავებაში და ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სახეზეა 2021-30 წლების მიგრაციის სტრატეგია, რომელიც ახალ რეალობას უნდა ერგებოდეს და თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავებას აგრძელებდეს. ვხედავთ, რომ ცირკულარულ მიგრაციას ჩვენს ქვეყანაში არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხანგრძლივია შრომით ემიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემა. სწორედ ამიტომ, სტატიის მთავარ **საკვლევ კითხვას** წარმოადგენს ის, თუ როგორ შეცვლის საქართველოს ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკა შრომითი მიგრაციის არსებულ ტენდენციებს? აქედან გამომდინარე კი, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის შესახებ თუ რამდენად მისაღები/მიუღებელია ეს პოლიტიკა ჩვენი ქვეყნისათვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

ცირკულარული მიგრაცია საქართველოში ახალი ფენომენია. მასზე საუბარი შეგვიძლია დავიწყოთ 2013-15 წლების მიგრაციის სტრატეგიიდან. ვინაიდან წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკის შეფასება გარკვეულ დოკუმენტთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება პირველ რიგში ამ დოკუმენტთა შესწავლა. საქართველოს 2016-20 წლების მიგრაციის სტრატეგიაში (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015) ჩვენთვის საინტერესოა ნაწილი, რომელიც ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობასა და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას ეხება; და ქვეთავი ცირკულარული მიგრაციის შესახებ. მიგრაციის სტრატეგიის ეს ნაწილებია უშუალოდ ჩვენს საკვლევ თემასთან ახლოს,

რადგან ცირკულარული მიგრაცია გახლავთ ერთი მხრივ ლეგალური მიგრაციის ერთ - ერთი სახე და მეორე მხრივ, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის საშუალება. იგივე საკითხებზეა მსჯელობა 2021-30 წლების მიგრაციის სტრატეგიაშიც (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020). მასში წარმოდგენილი შვიდი პრიორიტეტიდან ჩვენთვის საინტერესო ორი მათგანი გახლავთ. თუმცა წინა სტრატეგიისაგან განსხვავებით, ცირკულარული მიგრაცია ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობასთან დაკავშირებული თავის ნაწილია, ამიტომ ყურადღებას აღნიშნულ ორ თავზე გავამახვილებთ. ამ ორ მთავარ ლიტერატურასთან ერთად საინტერესოა ასევე თამარ ნადიბაიძის სამაგისტრო ნაშრომი (Nadibaidze, 2022), სადაც საქართველოს 2021-30 წლების მიგრაციის სტრატეგია კრიტიკულად არის მიმოხილული. ამ უკანასკნელიდან ჩვენთვის საინტერესოა ის თუ რაზე ამხვილებს ავტორი ყურადღებას, რა ხარვეზებს აღმოაჩენს სტრატეგიაში და შემდგომ საინტერესოა როგორ დაუკავშირდება ეს ხარვეზები ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებას ჩვენს ქვეყანაში. ზოგადად, მიგრაციული პროცესების შესახებ სახელმძღვანელოები მრავლად არ არის. ქართულენოვან გამოცემებში ერთ-ერთი პირველია „მიგრაციის სახელმძღვანელო“, ვიოლეტა ვაგნერის რედაქციით (მიგრაციის სახელმძღვანელო, 2017), სადაც უმეტესწილად ქართველი მკვლევრებისა და ექსპერტების მიერ განხილულია მიგრაციასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი ინტერდისციპლინური კუთხით. მისი მიზანია ღირებული სასწავლო რესურსის მიწოდება არა მხოლოდ მათთვის, ვინც ქმნის პოლიტიკას ან ცირკულარული მიგრაციით დაინტერესებული პირებისთვის, არამედ, ზოგადად, მიგრაციით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს გონივრული პოლიტიკის შექმნას და მიგრაციის აღქმას მტკიცებულებათა საფუძველზე. ამიტომ, ნაშრომის შექმნის პროცესში მიმართულებების განსაზღვრად, ტერმინების განმარტებების მოსაძიებლად ვფიქრობთ ის ძალიან კარგი წყარო იქნება. ასევე, იქედან გამომდინარე, რომ ვსწავლობთ საქართველოს ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკას, აუცილებელია ცირკულარული მიგრაციის სქემის სახელმძღვანელოს ანალიზი, რომელშიც შეჯამებულია ცირკულარული მიგრაციის საცდელი სქემის (PCMS) შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება და მიგრაციის სრული ციკლის განმავლობაში გამოყენებული მხარდაჭერის სტრუქტურა, როგორც ევროკავშირის პროექტის „ევროკავშირის პარტნიორობა მობილურობისთვის განვითარების პოტენციალის გაძლიერება საქართველოში მიზანმიმართული ცირკულარული მიგრაციის და დიასპორის მობილიზაციის გზით“ (გოსი, 2016). ამას გარდა, რა თქმა უნდა, სხვა მრავალი უცხოური თუ ქართული ლიტერატურა იქნება გამოყენებული საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად, აგრეთვე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც ცირკულარული მიგრაციის სტატისტიკური მონაცემების მოსაპოვებლად უდიდესი ბაზაა. ჩვენთვის ფასეული იქნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებისა და პუბლიკაციების დამუშავება-ანალიზი.

მეთოდოლოგია

ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკის შესასწავლად პირველ რიგში აუცილებელია საკანონმდებლო დოკუმენტაციის და სხვა მეორადი წყაროების კრიტიკული ანალიზი. საექსპერტო კვლევისათვის

გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი სიღრმისეული ინტერვიუს სახით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევების გამარჯვებული პროექტის - „ქართული დიასპორები ბალტიისპირეთში: ტრანსფორმაცია სივრცესა და დროში“ - ფარგლებში, ჩავატარეთ საექსპერტო კვლევა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველოსა და სხვა უწყებებში საქართველოდან ცირკულარული მიგრაციის შესწავლის მიზნით. დარგის სპეციალისტთა მიერ მონოღებული ინფორმაცია დავამუშავეთ კოდირება - კატეგორიზაციის გზით. კვლევის შედეგების მიხედვით, რეალური სურათის მისაღებად, პარალელურად მოვახდინეთ უცხოელ და ქართველ მეცნიერთა კვლევების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშების და პუბლიკაციების გაანალიზება.

2016 – 2020 და 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიათა შედარებითი ანალიზი

2016-20 წლების მიგრაციის სტრატეგია შედგება 12 თავისაგან, ხოლო 2021-30 წლების სტრატეგია 15 თავისაგან. ამ უკანასკნელში გამოყოფილია შვიდი პრიორიტეტი, რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ორი მათგანი - ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა და არარეგულირებად მიგრაციასთან ბრძოლა. მართალია ამ ორ სტრატეგიაში პრიორიტეტთა თანმიმდევრობა და სტრუქტურა ზუსტად არ ემთხვევა ერთანეთს, თუმცა ზემოხსენებული პრიორიტეტები ცალკე თავებად 2016-20 წლების მიგრაციის სტრატეგიაშიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მაგრამ ამას გარდა ჩვენთვის საინტერესოა 2016-20 წლების მიგრაციის სტრატეგიის მერვე თავი - მიგრაცია და განვითარება, სადაც ცალკე მცირე ქვეთავი აქვს გამოყოფილი ცირკულარულ მიგრაციას. მიგრაციის სტრატეგიათა სწორედ ამ ნაწილებზე ყურადღების გამახვილებით განვიხილავთ საქართველოს ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკას.

მიგრაციის ორივე სტრატეგიაში ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობის ნაწილში ძალიან დიდი ადგილი ეთმობა სიტუაციის ანალიზს. 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ამ ნაწილში თავიდან ყურადღება გამახვილებულია სავიზო და ბინადრობის პოლიტიკაზე. მას აღარ ჩავუღრმავდები აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში ვინაიდან, ჩვენთვის საინტერესოა გახლავთ ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ თავში, შრომითი მიგრაციისადმი და ემიგრაციისადმი მიძღვნილი ქვეთავები. პირველ მათგანში იკვეთება, რომ სახელმწიფო გეგმავს საქართველოს მოქალაქეებისათვის შედარებით მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობების შექმნას და ხელმისაწვდომობის გაზრდას განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში და ქვეყნის შიგნით როგორც მაღალი კვალიფიკაციის, ისე დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანურ რესურსებზე (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019). შესაბამისად, აყალიბებს მიზნებსაც, რომლის ფარგლებში გეგმავს შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ჩარჩოს ზემოქმედების შეფასებას ეკონომიკასა და შრომის ბაზარზე და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას; შრომის

ბაზრის სტრატეგიის შესაბამისად, შრომის ბაზრის რეგულარული კვლევების ინსტიტუციონალიზაციას და მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალის პერიოდულ განახლებას და ა.შ. თუმცა, არაფერია ნათქვამი უშუალოდ ცირკულარული მიგრაციის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილ ნაბიჯებზე, მის მიმართ სახელმწიფოს როგორც პრიორიტეტულ ხედვაზე, ისევე როგორც ემიგრაციისადმი მიძღვნილ ქვეთავში სიტუაციის ანალიზისას და მიზნების განსაზღვრისას. სიტუაციის ანალიზისას სამი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამოყოფა შეგვიძლია: პირველი ეს გახლავთ პოტენციურ და ფაქტობრივ ემიგრანტთა ცნობიერების ამაღლებით და ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოებით, საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყანებში უკანონოდ ყოფნის შემთხვევების შემცირება; მეორე - საზღვარგარეთ ლეგალურად და არალეგალურად მყოფი ემიგრანტების უფლებების პროაქტიული დაცვა, თვითმყოფადობის შენარჩუნება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია ქართველ ემიგრანტთა რიცხვი და მესამე, ემიგრაციული ნაკადების უკეთესი აღრიცხვისა და შესწავლისთვის არსებული საშუალებების დახვეწა. სახელმწიფო ამ ძალზედ მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემების მოგვარების გზას სრულიად ზოგად მიზნებში გვიხატავდა. მის ფარგლებში, მაგალითად როდესაც ვკითხულობთ ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების აღრიცხვის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, საკონსულთაო აღრიცხვაზე ნებაყოფლობით დადგომის წასახალისებლად (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019), რა მეთოდი იქნება გამოყენებული და რა მექანიზმი შემუშავებული ვერ ამოვიკითხავთ. მეორე მიზანში ემიგრაციასთან დაკავშირებით - „საქართველოს მოქალაქეების ხანგრძლივი ემიგრაციისას, შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, წინასწარ, საკუთარი სურვილით დასარეგისტრირებლად საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებში“ (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015, გვ. 19) - თითქოს ვხედავთ ცირკულარული მიგრაციის ფაქტორს, თუმცა იგივე გაუგებრობას აქვს ადგილი, როგორც პირველ მიზანში. თუმცა, 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში, ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობისადმი მიძღვნილ ქვეთავში უკვე ვხვდებით ცირკულარული მიგრაციის ცნებას. ხაზგასმით არის აღნიშნული მასში შრომითი მიგრაციის როლი და წილი ზოგადად საქართველოში მიგრაციულ პროცესებში, რაც გლობალური ბაზრის მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოდის მუშახელზე მოთხოვნის კუთხით და რომელსაც პანდემიის პირობებშიც კი ათვისების პოტენციალი არ დაუკარგავს. განვითარებულ ქვეყნებში მაინც იყო მოთხოვნა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშახელზე და სტრატეგიაში ვკითხულობთ, რომ ისეთ სექტორში, როგორიცაა, სოფლის მეურნეობა და მასთან ერთად სეზონური შრომითი მიგრაცია, სადაც ხანმოკლე პერიოდით გარკვეული რაოდენობის სამუშაო ძალა ყოველთვისაა საჭირო (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015). აქედან გამომდინარე აქცენტი კეთდება საზღვარგარეთ დროებით დასაქმებაზე, რომლის პირობებშიც გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მიგრანტებს სამშობლოში დაბრუნება და საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილების, შემოსავლის ჩამოტანა, გამოყენება მოუწევთ. ე.ი ცირკულარული მიგრაციის სქემა წარმოდგენილია, როგორც ძლიერი ინსტრუმენტი შრომითი მიგრაციის დადებითი ეფექტის გასაზრდელად. ეს არის მიგრაციული ნაკადების „ლეგალურ“ ნაკადებში გადამისამართების გზა, რომელიც შეესაბამება ყველა ჩართული მხარის საჭიროებებს: წარმოშობის და მიმღები სახელმწიფოების და თავად მიგრანტების საჭიროებებს, მაგრამ იგი რაც მთავარია, ხელს უწყობს მიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას

(მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020). აქედან გამომდინარე, კარგად მართული ცირკულარული მიგრაციის სქემა, რომელიც მიიღწევა პარტნიორ ქვეყნებთან გაძლიერებული თანამშრომლობის გზით, დააკმაყოფილებს მიზნების ჩამონათვალს, რომელიც იწყება „არალეგალური“ მიგრაციის შემცირებიდან და გრძელდება ზოგადი უმუშევრობის შემსუბუქებით. აღნიშნული ხასიათის სქემა გვთავაზობს ბენეფიტების დიდ არჩევანს, მაგალითად, მას შეუძლია: გაზარდოს შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის გზები, გაზარდოს ფულადი გზავნილების მოცულობა, რაც შეიძლება მეტად დაეხმაროს სიღარიბის შემცირებას და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, გაზარდოს ფულადი გზავნილების საინვესტიციო პოტენციალი, ასევე ხელი შეუწყოს ცოდნისა და გამოცდილების გადაცემას, საზღვარგარეთ მიღებული ახალი შრომითი და ორგანიზაციული უნარების გადაცემას, ხანგრძლივ შრომით ემიგრაციასთან დაკავშირებული დემოგრაფიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების მოხსნას და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის უზრუნველყოფს წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობას. სწორედ ამიტომ არის დროებითი (ცირკულარული) შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ გრძელვადიან პრიორიტეტად წარმოდგენილი. სახელმწიფო პრიორიტეტებთან შესაბამისობაში, სტრატეგიის დეკლარირებული მიზანია აქტიური თანამშრომლობის გაგრძელება ევროკავშირთან და მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებთან. ეს მიზანი ასევე საჭიროებს შესაბამის ინსტიტუციურ ბაზას და შესაბამისი უწყებების შესაძლებლობების განვითარებას, რათა დაკმაყოფილდეს „კარგად განვითარებული სისტემა პერსონალის დასასაქმებლად უცხოელი დამსაქმებლისათვის საჭირო უნარების მიხედვით“ (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020, გვ. 25). ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევითი პრიექტის ფარგლებში, სიღრმისეული ინტერვიუების მსვლელობისასაც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მხრიდანაც ხაზგასმული იყო, რომ მთავარი გამოწვევა მენეჯმენტი, ტექნიკური საკითხების გაუმართაობა და კვალიფიკაციაა. ამასთან დაკავშირებით, სტრატეგია გვანდის ინფორმაციას საჭირო ინსტიტუციური სისტემის განვითარებაზე, რომელსაც შეუძლია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ქალების, ახალგაზრდების და მონყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას. ეს ნაწილი ასევე ეხება უვიზო მიმოსვლას, სადაც მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით ამ პოლიტიკით ისარგებლა საქართველოს 534 000-მდე მოქალაქემ (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020). შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ვარაუდობს, რომ დროებითი დასაქმების წილი მაღალი იქნება და ელოდება პანდემიის დასრულების შემდეგ მდგომარეობის აღდგენას(თუმცა, იქამდე საუბარი იყო იმაზე, რომ აღნიშნულ სფეროს პანდემია დიდ დანაკლისს და მოთხოვნის შემცირებას არ უქადდა - ვხედავთ, რომ ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის დოკუმენტი საკუთარ თავთან). რაც შეეხება კვალიფიკაციის პრობლემას, როგორც აღვნიშნეთ, ქართველები დასაქმების პროგრამის ფარგლებში ძირითადად მიემგზავრებიან სოფლის მეურნეობის სფეროში სამუშაოდ და სიღრმისეული ინტერვიუებისას რესპონდენტების მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით მეორე სფერო გახლავთ სამედიცინო, უფრო კონკრეტულად ექთნის, ექთნის თანამშემნის ან შინ მოვლის სპეციალისტის პროფიციები. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს უცხოეთში მომვლელად მუშაობის გამოცდილება ნამდვილად აქვთ, ძალიან

რთულია შინ მოვლის სპეციალობის დამადასურებელი დოკუმენტის მოპოვება. რაც შეეხება ექთნის/ექთნის თანაშემწის პოზიციას, ეს უკანასკნელი საქართველოში ძალიან მოთხოვნილია და ბუნებრივია, მოთხოვნადობა იმატებს განსაკუთრებით პანდემიის დროს. სტრატეგიებში აღნიშნული პრობლემის მოგვარების ხედვას თუ სამომავლო გეგმებს არ ვხვდებით. სამაგიეროდ, აღნიშნულია, რომ სტრატეგია უზრუნველყოფს უვიზო რეჟიმს, „ხელს უწყობს ადამიანებს შორის კონტაქტს, ხელს უწყობს წვდომას მსოფლიოს წამყვან ბაზრებზე, უახლესი ტექნოლოგიებისა და მეცნიერების მიღწევებზე, ზოგადად ამცირებს მოგზაურობის ხარჯებს“ და, ამრიგად, მთავრობის პრიორიტეტია მისი გაფართოება. სტრატეგიას წარმოადგენს უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა მთელ მსოფლიოში, თუმცა აღნიშნულია, რომ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნისადმი მიძღვნილი განაცხადების მატება შეინიშნებოდა ვიზალიბერალიზაციის შემდგომ, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და უარყოფილი. მიგრაციის სტრატეგიაში გამოთქმულია შეშფოთება საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობასთან დაკავშირებით „ლეგალური“ მიგრაციის გზებისა და „არალეგალური“ მობილობიდან გამომდინარე რისკების შესახებ. ის ასევე გვამცნობს, რომ ვიზალიბერალიზაციის განხორციელებამ გამოიწვია „ლეგალურ“ მიგრაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების „არსებითი განახლება“, ამიტომ შემდგომი საკანონმდებლო რეფორმა მნიშვნელოვანია. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ სავიზო და ბინადრობის პოლიტიკის გაუმჯობესებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მიგრაციული ნაკადების უკეთ მართვას, რათა „მიგრაციის დადებითი ეფექტი მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის“ (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020, გვ. 27). ზოგადად, სტრატეგიას მიაჩნია, რომ „ლეგალური“ მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოება უნდა მოხდეს შესაბამის სექტორებში პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერების პარალელურად. ეს უკანასკნელი ორი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: ტრენინგის ჩატარება, გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და მეორე, კადრების განახლება კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების, ტექნოლოგიური სიახლეებისა და თანამედროვე მიდგომების შესაბამისად/გათვალისწინებით. ამ უკანასკნელში შედარებით უფრო მეტად იკითხება ცირკულარული მიგრაციის განვითარების როლი და მნიშვნელობა შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისა და პოტენციალის გამოყენების კუთხით, ვიდრე 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში, სადაც ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობისადმი მიძღვნილ ქვეთავში ცირკულარული მიგრაცია საერთოდ არ მოიხსენიება. აღნიშნული ქვეთავი მიგრაციის ორივე სტრატეგიაში მიზნად ისახავს ეფექტურ ბრძოლას არალეგალურ მიგრაციასა და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან და საზღვრის უსაფრთხოების გაუმჯობესებასთან (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020). ამ უკანასკნელს შეუძლია უზრუნველყოს მიგრაციის მართვის სისტემის სახელმწიფო უსაფრთხოება და მდგრადობა, მაგრამ ასევე, „არალეგალური“ მობილობის შეზღუდვამ შეიძლება ხელი შეუწყოს „ლეგალური“ მიგრაციის შესაძლებლობებს. ამ თვალსაზრისით, მიგრაციის 2021-2030 წლების სტრატეგია ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან, ევროკავშირის სამართალდამცავ სააგენტოსთან და ევროკავშირის სისხლის სამართლის თანამშრომლობის სააგენტოსთან შეთანხმებულ მუშაობას არალეგალურ მიგრაციასთან და ისეთ დანაშაულებებთან როგორც არის მაგ. ტრანსნაციონალური

ორგანიზებული დანაშაული, ადამიანებით ვაჭრობა და ა.შ., ბრძოლის ეფექტურ გზად მიიჩნევა. სტრატეგია ასევე გვანდის ინფორმაციას საქართველოს რეადმისიის მექანიზმზე(რეადმისია - რაიმეში(ჯგუფში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში...) ხელახლა განვერიანებაზე ნებართვის მიცემა (Oxford Learner's Dictionaries, ნახვის დრო: 2022)), სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეების იძულებითი დაბრუნება ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებიდან ძირითადად რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში ხდება. ბოლო მიგრაციის სტრატეგია ცხადყოფს, რომ საქართველოს დამტკიცების მაჩვენებელი რეადმისიის მოთხოვნების თვალსაზრისით არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი, სხვა მესამე ქვეყნებთან შედარებით, რომელიც წელიწადში 95%-ზე მეტს აღწევს (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2020).

მიუხედავად იმისა, რომ 2016 – 2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობისადმი მიძღვნილ ქვეთავში ცირკულარული მიგრაცია ნახსენებაც არ არის, მერვე თავის - მიგრაცია და განვითარება ერთ - ერთი პატარა ქვეთავი უშუალოდ ცირკულარულ მიგრაციას ეძღვნება, სადაც ხაზგასმულია საცდელი პროგრამების არსებობა გერმანიასთან, ესტონეთთან და პოლონეთთან (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015), ასევე მოლაპარაკებების წარმოების პროცესზე ხაზგასმა კიდევ სამ ქვეყანასთან, რაც გვაფიქრებინებს რომ დოკუმენტში მიზანმიმართულად არის სისუსტეები მიჩქმალული და დადებითი მხარეები ერთი-ორად დიდად წარმოჩენილი. თუმცა, დოკუმენტში გააზრებულია, რომ ცირკულარული სქემებისა და საერთაშორისო დასაქმების ხელშეკრულებების შემუშავებისას აუცილებელია, მოხდეს საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობის გათვალისწინება. უცხოური შრომის ბაზრების მოთხოვნების რეგულარული შესწავლა, რომლის განხორციელებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გეგმავს, მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ ცირკულარული სქემების შემუშავებისთვის, არამედ საქართველოს პროფესიული განათლების სისტემისთვის, რომელიც დროთა განმავლობაში არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს უნდა მოერგოს. ასევე, წარმატებული ცირკულარული მიგრაციისთვის აუცილებელი წინაპირობაა პოტენციური ემიგრანტების პროაქტიული ინფორმირება და ემიგრაციისთვის მომზადება. აღნიშნული გულისხმობს, როგორც შესაბამისი კანონების და ნორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ისე კონსულტაციის განწევას საზღვარგარეთ დასაქმების და იმ ხელშეკრულების შესახებ, რომლის ფარგლებშიც მიემგზავრება ბენეფიციარი დროებით სამუშაოდ თუ განათლების მისაღებად. ასევე სასურველია მას ჰქონდეს ინფორმაცია დაბრუნების შემდეგ დასაქმების და რეინტეგრაციის შესაძლებლობების შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების მსვლელობისას რესპონდენტმა - შრომითი მიგრაციის სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე სრული ინფორმირება ე.წ. გამგზავრების წინა-საორიენტაციო ტრენინგების ფარგლებში უნდა განხორციელდეს და 2021 წლიდან აქტიურად ხორციელდება. ტრენინგი დაახლოებით ერთი საათი და 30 წუთი გრძელდება და ყურადღება განსაკუთრებით ხელშეკრულების დეტალურ ახსნასა და გაანალიზებაზე კეთდება 2016-2020 წლის მიგრაციის სტრატეგიის მიხედვით. ამის შემდგომ, 2021-2030 წლის მიგრაციის სტრატეგიის შემუშავებიდან მალევე განხორციელდა საპილოტე პროგრამა გერმანიასთან ორმხრივი შეთანხმების

საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში გამგზავრებამდე ჩატარდა ზემოთ აღნიშნული საინფორმაციო შეხვედრა, თუმცა ამ საპილოტე პროგრამის წარმატებულობასა და აქედან გამომდინარე საქართველოს ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკის ეფექტურობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. დასაქმების პროგრამის ბენეფიციართა ნაწილი და ზოგი მკვლევარი მიუთითებს, რომ გამოვლინდა ის სფეროები და პრობლემები, რომლებზეც სტრატეგია დუმს მათ შორის, ყველაზე მთავარ - საცხოვრებელ და სამუშაო პირობებზე (Nadibaidze, 2022). იმის მიუხედავად, რომ 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობისადმი მიძღვნილ ქვეთავში ცირკულარულ მიგრაციას და მისი განვითარებისათვის შექმნილ მიზნებს თითქოს ყურადღება დაეთმო, შედეგი - საპილოტე პროგრამის სახით არაეფექტური აღმოჩნდა. საერთო ჯამში, ეს ყოველივე ისევ და ისევ იმის შთაბეჭდილებას გვითხრობს რომ მიგრაციის სტრატეგიები იქმნება მხოლოდ იმიტომ, რომ ევროკავშირის სტრუქტურები ამას გვთხოვენ. მაგრამ, მეორეს მხრივ, სიღრმისეული ინტერვიუებისას ჩვენი რესპონდენტები/ექსპერტები, რომლებიც სახელმწიფო უწყებებს წარმოადგენდნენ ამბობენ, რომ განხორციელებული პროგრამებით კმაყოფილი დარჩა როგორც ბენეფიციართა უდიდესი ნაწილი, ისე გერმანული მხარე - დამსაქმებლები. პროგრამაში ჩართული იმ მცირე ნაწილის უკმაყოფილებაც გამოწვეულია სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობის სირთულეების, სპეციფიურობის გაუზრებლობით; იმით, რომ ინდივიდუალურ დონეზე, ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს არ შეესაბამება ბენეფიციარების წინასწარი მოლოდინები; უფრო ხშირად, პრობლემები გამოწვეულია დასაქმების ამ სფეროში შრომითი უნარების ნაკლებობით. რეალურად, უკმაყოფილოთა რაოდენობა პროგრამის იმიჯზე და წარმატებულობაზე არსებით უარყოფით გავლენას ვერ ახდენს.

დასკვნა

კვლევის შედეგად ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადად, მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვა საქართველოში ახალი ფენომენია. აქედან გამომდინარე, ახალია ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვაც, რომლის შესახებაც საუბარი 2013 წლიდან იწყება - მაშინ, როდესაც 2013-15 წლების მიგრაციის სტრატეგია დაინერგა. ცირკულარული მიგრაციის პოლიტიკის წარმოების კუთხით განსაკუთრებული აღმოჩნდა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობის როლი. პოლიტიკისა და პროცესის ფორმირების ცოდნა ნამდვილად გამომდინარეობს ევროპის პრაქტიკიდან, ევროკავშირ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტებიდან და ევროკომისიის მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული შეფასების ანგარიშებიდან, სადაც ჩანს თუ რამდენად ვასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს ვიზალიზირების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ. ევროკავშირთან დაახლოება არის პარადიგმა, რომელიც განაპირობებს მიგრაციის მართვას საქართველოში ან თუნდაც ქმნის მიგრაციის მართვის აუცილებლობას. ერთის მხრივ, კარგია, რომ ევროკავშირისადმი ვალდებულებების გამო, ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული პოლიტიკა,

თუმცა, მეორეს მხრივ, მხოლოდ ვალდებულებების გამო შემუშავებული დოკუმენტები რეალურ შედეგს არ იძლევა. კვლევამ აჩვენა მსგავსი მრავალმხრივი ფორმატის გარკვეული ზედაპირულობა. რაც მთავარია, ის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ქმნის ფინანსური თუ სამართლებრივი ჩარჩო და კომისიის ქცევა არათანაბარ ნიადაგს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობისთვის პოლიტიკის შემუშავებაში. შედეგად გარედან იფუთება სტრატეგია დემოკრატიული ნიშნით. რეალურად, ევროკავშირის ქვეყნებში, ნამდვილად იკვეთება, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არ თანხმდება ე. წ. „ლურჯაყელიანთა“ პოზიციებს და ნამდვილად არსებობს მსგავს ქვეყნებში დეფიციტური პროფესიები, რომელთა ათვისებასაც ევროკავშირი ჯერ მისი წევრი სახელმწიფოების მუშახელის დახმარებით ცდილობს, ხოლო შემდეგ მესამე ქვეყნების (მათ შორის მოიაზრება საქართველოც) სამუშაო ძალით. თუმცა, ფაქტია, რომ საქართველოს 2016-20 და 2021-30 წლების მიგრაციის სტრატეგიათა საფუძველზე წარმოებული მიგრაციის პოლიტიკით ევროკავშირის დეფიციტური სამუშაოების ათვისება ვერ ხერხდება. აღმოჩნდა, რომ ადგილი აქვს მიგრაციის მენეჯმენტის არაორგანულ განვითარებას, რომელიც გამომწვეულია საქართველოს სპეციფიკური ისტორიული, გეოპოლიტიკური თუ თანამედროვე თავისებურებებიდან, ამდენად, იგი ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობას. უფრო მეტიც, ეს იწვევს კითხვებს იმის შესახებ, წარმოშობს თუ არა ასეთი „დეორგანული“ პოლიტიკის განხორციელება უფრო მეტ პრობლემას. სტრატეგიათა ხედვები არ ითვალისწინებენ რეგიონულ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია კონფლიქტებთან და ჰუმანიტარულ საჭიროებებთან. ამ თვალსაზრისით საქართველოს გამოცდილება ომების, სამოქალაქო არეულობების, კონფლიქტების და მისი იძულებით გადაადგილებული ხალხის ამჟამინდელი და დაუკმაყოფილებელი ჰუმანიტარული საჭიროებების შესახებ, ნაკლებად არის ასახული სტრატეგიაში. სტრატეგიის წაკითხვისას შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს საკითხი, თუ როგორ შეუძლია მას შემოგვთავაზოს ათწლეულების მანძილზე სახელმწიფო პოლიტიკის ხედვა მაშინ, როდესაც ქართველი არალეგალური მიგრანტების შრომითი უფლებების ათწლეულების განმავლობაში მძიმე პირობების არსებობა არ არის აღიარებული. მეორეს მხრივ, კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ვაკანსიების რაოდენობათა ათვისებას ქართული მხარე ვერ ახერხებს მოთხოვნებთან კვალიფიკაციის შეუსაბამობის გამო. თემაზე საუბარი იმით დავიწყეთ, რომ ცირკულარული მიგრაცია არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური გზაა, რასაც ორივე სტრატეგია აღიარებს. თუმც, საქართველოს მიგრაციული სტრატეგიების მიხედვით წარმოებული პოლიტიკის შედეგად, რომელშიც აშკარად იკვეთება სახელმწიფოს დადებითი დამოკიდებულება ცირკულარული მიგრაციისადმი და ჯერჯერობით ასახავს მხოლოდ საპილოტე პროგრამების შედეგებს, ვხედავთ დაურეგულირებელ პროცესს, დიდი მოლოდინების მქონე უკმაყოფილო მოქალაქეებს, სასამართლო დავებს ქართველ დასაქმებულებსა და უცხოელ დამსაქმებლებს შორის. სამწუხაროდ, არ ჩანს სტატისტიკა, სადაც გატარებული პოლიტიკის შედეგად სახეზე იქნება არალეგალურ მიგრანტთა შემცირებული რაოდენობა ლეგალური მიგრანტების ხარჯზე. ეს ყოველივე გვაძლევს საბოლოო ჯამში იმის თქმის უფლებას, რომ მართალია, ცირკულარული მიგრაციის ფენომენის გაჩენა წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ჯერჯერობით, ის არსებითად ვერ ახდენს გავლენას ქვეყნიდან არარეგულარულად წასულ შრომით მიგრანტთა რაოდენობის შემცირებაზე.

ბიბლიოგრაფია

- Castles, S., & Miller, M. (2009). *The Age of Migration: International Population Movements in the Modern World*. New York, London: THE GUILFORD PRESS.
- European Training Foundation. (2018). *YOUTH TRANSITION TO WORK IN GEORGIA*. თბილისი: <https://www.etf.europa.eu/sites/default/files/2018-12/Youth%20transition%20Georgia.pdf>.
- International Labour Conference. (2009). *The cost of coercion : global report under the follow-up to the ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work : report of the Director-General*. Retrieved from international labour organization: <https://labordoc.ilo.org/>
- international labour organization. (ნახვის დრო: 2022, ნოემბერი 04). *Human Trafficking Statistics & Facts*. Retrieved from safehorizon: <https://www.safehorizon.org/get-informed/human-trafficking-statistics-facts/#definition/>
- International Organization of Migration. (2019, ნოემბერი 03). *Glossary on Migration*. Geneva: International Organization for Migration. Retrieved from მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია: <https://migration.commission.ge/files/glosaary.pdf>
- Lee, E. S. (1966). *A Theory of Migration*. North Carolina: Duke University Press.
- Nadibaidze, T. (2022). *The economy of knowledge in migration policy - – Understanding Georgia's migration policy within the modern world system*. Retrieved from Linköping university - Department of Culture and Society: <https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1686395/FULLTEXT01.pdf>
- Oxford Learner's Dictionaries. (ნახვის დრო: 2022). *readmission*. Retrieved from Oxford Learner's Dictionaries: <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/readmission>
- Piore, M. J. (1979). *Birds of Passage: Migrant Labor and Industrial Societies*. Cambridge: Cambridge University Press.
- Ravenstein, E. G. (2003). *The Laws of Migration*. Retrieved from The Center for Spatially Integrated Social Science: <https://escholarship.org/uc/item/3018p230#main>
- Wilson, W. (1887). *The Study of Administration*. Retrieved from JSTOR: https://www.jstor.org/stable/2139277?seq=1#metadata_info_tab_contents
- გოსი, ა. (2016). *ცირკულარული მიგრაციის სქემის საგელმძღვანელო*. თბილისი: https://migration.commission.ge/files/pcms_geo_final.pdf.
- ვაგნერი, ვ. (2017). *მიგრაციის საგელმძღვანელო*. თბილისი: მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2012). *საქართველოს 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგია*. Retrieved from მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია: <https://migration.commission.ge>

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2015, ნოემბერი 30). *საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია*. Retrieved from ეროვნული უსაფრთხოების საბჭო: <https://nsc.gov.ge/pdf/5fe04e3b6e024.pdf/4.%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%202016-2020%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E>

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2019). *საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი*. Retrieved from მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია: https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2020). *საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია*. Retrieved from მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია: https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf

საქართველოს პრეზიდენტი. (1997, ნოემბერი 17). *საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კოცეფცია*. Retrieved from საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №673: <https://migration.commission.ge/files/koncefca.pdf>

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2014, ივნისი 27). *ასოციირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის*. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021). *მოსახლეობა და დემოგრაფია: მიგრაცია*. Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia#>